აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივლისი , 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0319
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ტიმოთი ბლაუველტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი/ამერიკის საბჭოები, აშშ
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ივანა მაჩიტაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაია ბარამიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გია თოდუა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამის - პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება, მიზანია პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს ტრანსფორმაციის შესახებ მულტიდისციპლინური ცოდნის მქონე სოციალურ მეცნიერებათა სპეციალისტების მომზადება. თანამედროვე თეორიებისა და მიდგომების შესწავლის მეშვეობით ისინი გამოიმუშავებენ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეალობისა და ცვლილებების ურთიერთდაკავშირებული დინამიკის ანალიზის უნარს. ისინი მზად იქნებიან გამოიყენონ თავიანთი ცოდნა აკადემიურ საქმიანობაში და პრაქტიკულ აქტივობებში, ასევე შემოქმედებითად შეიტანონ წვლილი საქართველოს განვითარებაში.

პროგრამა ისწრაფვის, რომ უზრუნველყოს სტუდენტები ინტერესების ფართო სპექტრის დაკმაყოფილების შესაძლებლობით. პროგრამის კურსები შერჩეულია, ისე რომ დაფაროს/მოიცვას ტრანსფორმაციის თემებისა და ასპექტების ფართო სპექტრი.

- **აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

ზემოხსენებულ ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 9 ივლისს. მათ თან ახლდათ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი ლაშა მაჭარაშვილი. გუნდი შეხვდა უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, თვითშეფასების გუნდის წევრებს, პროგრამის მუდმივ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალს, თსუ-ს სტუდენტებსა და ანალოგიური პროგრამების კურსდამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებლებს. შეხვედრები შედგა თსუ-ს მე-6 კორპუსში, უნივერსიტეტის ერთ-ერთ იმ კორპუსთაგანში, რომელშიც განხორციელდება ამ პროგრამის კურსები. ასევე, მოვინახულეთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ცენტრი თსუ-ს პირველ კორპუსში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა**

საერთო ჯამში პროგრამა შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და უნივერსიტეტის სტანდარტებთან და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ პროგრამა დამტკიცდეს.

- **რეკომენდაციები**

  სტანდარტი 1.2 თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გარდა შეფასების ღონისძიებებს დაემატოს სწავლის შედეგების გეგმის რამდენიმე კომპონენტი; სტანდარტი 2.4 თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს პროგრამის კოორდინატორებს ან/ და ფაკულტეტს გაზარდოს ორგანიზაციების ნუსხა მემორანდუმებით სტუდენტთა სტაჟირების უზრუნველსაყოფად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  სტანდარტი 1.1 მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობს პროგრამის სახელწოდების გადახედვას; სტანდარტი 2.2 მიხედვით ჯგუფი, სთავაზობს გადაიხედოს, თუ რომელი ეკონომიკის კურსები იყოს სავალდებულო, და რომელი ძირითადი; ჯგუფი მიიჩნევს, რომ რუსული ენის კურსი უნდა იქნეს განხილული არჩევით კურსად, ხოლო დემოკრატიზაციის კურსი ნაცვლად არჩევითისა, შეთავაზებულ იქნეს ინგლისურ ენაზე და ძირითად კურსად. სტანდარტი 2.4 მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის უმცირესობის შეთავაზებაა, რომ სავალდებულო გახდეს სტაჟირების კომპონენტი; სტანდარტი 3.2 მიხედვით ურჩევს პროგრამის მენეჯერებს სიფრთხილით მოეკიდონ პედაგოგიური პერსონალის საკონსულტაციო დროისა და სამუშაო საათების დაკავშირებას; სტანდარტი 3.2 თანახმად, კომიტეტი პროგრამის მენეჯერებს მოუწოდებს მაქსიმალური ძალისხმევისაკენ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; და სტანდარტი 4.1 მიხედვით, კომიტეტი ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მხრიდან პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობისათვის პრიორიტეტულობის მინიჭებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემქმნელებმა გამოკვეთეს პროგრამის სწავლის კონკრეტული შედეგები, მათი შედარებითი მნიშვნელობები, შეფასებისა და გაზომვის საშუალებები და მონაცემთა შეგროვებისა და შეფასების გრაფიკი (იხ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება), აგრეთვე ის უნარები და გამოცდილება, რომელითაც პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ საზოგადოებაში წვლილის შეტანას. სწავლის შედეგები მოიცავს საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ტენდენციებისა და ინსტიტუციური მოდელების სიღრმისეულ და სისტემურ შესწავლას; თეორიული ცოდნის მიღებას და თანამედროვე საზოგადოებრივი მეცნიერების მიდგომების გაგებას პოლიტიკური ინსტიტუციებისა და სახელმწიფოებრივი შენების, ტრანსფორმაციისა და პოლიტიკური ეკონომიკის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც შეესატყვისება პროგრამის მიზანს; პროგრამის მიზნები შეესაბამება პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მისიას და უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებას; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროგრამებს, რომლებიც ავითარებენ ინტერნაციონალიზაციასა და კურიკულუმის ინტერდისციპლინურ პროფილს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები წარმოდგენილი დოკუმენტების (მათ შორის MA პროგრამის სასწავლო გეგმისა და 2018 წელს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოქმედი რეგულაციების) საფუძველზე და პერსონალური ინტერვიუების თანახმად, პროგრამის შემმუშავებლებმა და აკადემიურმა პერსონალმა გამოკვეთა ის საშუალებები, რომლითაც შეფასდება სწავლის შედეგები და პროგრამის და მისი კურსდამთავრებულების პოტენციური ზეგავლენა

საზოგადოებაზე, უპირველეს ყოვლისა საკურსო ნაშრომის, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების, დამსაქმებელთა და სტუდენტთა გამოკითხვების მეშვეობით.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

ექსპერტთა ჯგუფის წევრთა შორის და ინტერვიუების მსვლელობისას მნიშვნელოვანი დისკუსია გაიმართა პროგრამის სათაურის "პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება" თაობაზე. გუნდის ყველა წევრი თვლის, რომ სახელწოდება დამაბნეველია დაზუსტად არ გადმოსცემს პროგრამის აქცენტსა და ხედვას (და, ამრიგად, საბოლოოდ, მის მიზნებს), რომელიც ნაცვლად ამისა მიმოიხილავს პოლიტიკას, ეკონომიკასა და საზოგადოებას საქართველოს შემთხვევის შედარებითი ანალიზის მეშვეობით. როგორც ჩვენ გავიგეთ, პროგრამა მიზნად არ ისახავს საქართველოს, როგორც ქვეყნის შესწავლას, არც პოსტსაბჭოთა გეოგრაფიულ სივრცეს ან მასში შედარებებს ეხება, მასში არც საქართველო განიხილება როგორც რაიმე თვალსაზრისით "გადამწყვეტი შემთხვევა" იმისათვის, რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც "პოსტსაბჭოთა". ჩვენ გავიგეთ, რომ პროგრამის ხელმძღვანელი თავდაპირველად აპირებდა პროგრამის სახელწოდებად განესაზღვრა "ტრანსფორმაცია საქართველოში შედარებით პერსპექტივაში", რაც სრულიად შესაფერისი იყო ინგლისურ ენაზე, თუმცა ჩაითვალა რომ გაუგებარია მისი ქართული თარგმანი. მიუხედავად ამისა, კომიტეტი მიიჩნევს, რომ პროგრამის სახელწოდება საჭიროებს შეცვლას, რათა აისახოს საქართველოს, როგორც შედარების საკვანძო ობიექტის პოზიცია პროგრამაში (სახელწოდებაში "საქართველოს" ჩამატებით), ან სახელწოდებიდან სიტყვის"პოსტსაბჭოთა" ამოღებით. ჩვენი ხედვით, სახელწოდების ამგვარი შეცვლა არა მარტო დააზუსტებს მის შინაარსსა და მიზანს, აღმოფხვრის რაიმე შესაძლო გაუგებრობას პოტენციურ სტუდენტებში (განსაკუთრებით უცხოელებში), არამედ თავიდან აიცილებს შესაძლო კრიტიკას, რომ პროგრამა ახდენს ევრაზისა და კავკასიისმცოდნეობის არსებული სამაგისტრო პროგრამის დუბლირებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან / და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის შემქმნელებმა გამოკვეთეს პროგრამის სწავლის კონკრეტული შედეგები, მათი შედარებითი ღირებულებები, შეფასებისა და გაზომვის საშუალებები და მონაცემთა შეგროვებისა და შეფასების გრაფიკი (იხ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება). სწავლის შედეგები მოიცავს საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ტენდენციებისა და ინსტიტუციური მოდელების სიღრმისეულ და სისტემურ შესწავლას; თეორიული ცოდნის მიღებას და თანამედროვე საზოგადოებრივი მეცნიერების მიდგომების გაგებას პოლიტიკური ინსტიტუციებისა და სახელმწიფოებრივი შენების, ტრანსფორმაციისა და პოლიტიკური ეკონომიკის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების შეფასებას სამაგისტრო ნაშრომის, შუალედური და საბოლოო გამოცდების, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტს აქვს რეკომენდაცია სწავლის შედეგების შეფასების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ზოგადად სწავლის შედეგების შეფასების რუქა და პროცედურები, როგორც ჩანს, სტანდარტული და თანმიმდევრულია, ხოლო სხვადასხვა კომპონენტის შეფასებაში ჩართულნი არიან პროგრამის პერსონალი, ფაკულტეტის საგამოცდო საბჭო და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და პერსონალური ინტერვიუების თანახმად, პროგრამის შემმუშავებლებმა და აკადემიურმა პერსონალმა გამოკვეთა ის საშუალებები, რომლითაც შეფასდება კონკრეტული სწავლის შედეგები, უპირველეს ყოვლისა საკურსო ნაშრომის, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების, დამსაქმებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის მეშვეობით.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი გამოყოფს პროგრამის ცხრა განზრახულ სწავლის შედეგს, ისევე, როგორც შეფასებისათვის გამოყენებულ კომპონენტებს/მეთოდებს, შეფასების საზომებს, მიზნობრივ ღირებულებებს, გრაფიკსა და

პასუხისმგებელ პირებს. გეგმა შესრულებადია და შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს (თუმცა ქვემოთ მოცემულია რეკომენდაცია).
რეკომენდაციები: ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიმოხილვის საფუძველზე, კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ დამატებითი შეფასების საშუალებები, როგორებიცაა საკურსო და სემესტრული ნაშრომების შეფასება, დაემატოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საშუალებებს პროგრამის მე-6, მე-7 და მე-8 სწავლის შედეგების შეფასებაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი	X			

შესაბამისობა პროგრამასთან				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამაზე დაშვების პროცედურები შეესაბამება უნივერსიტეტის დაშვების სტანდარტულ პრაქტიკას სამაგისტრო პროგრამებისათვის, როგორც ქართველი ისე უცხოელი სტუდენტებისათვის, ასევე შეესაბამება საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას. მიღების კომპონენტების შეფასება მითითებული, ხოლო ტრანსფერისათვის შესაბამისი პროცედურები დადგენილია. კრიტერიუმები გამოიყურება გამჭვირვალედ და სამართლიანად. დაშვების კრიტერიუმები მოიცავს B2 დონის ინგლისურის ფლობას და ბაკალავრის ხარისხს ნებისმიერ სოციალურ მეცნიერებაში, ისევე, როგორც ისტორიაში, ეკონომიკაში, ფილოსოფიაში ან სამართალში, ეროვნული სამაგისტრო გამოცდის წარმატებულ ჩაბარებას (ქართველი სტუდენტებისათვის), წერით ესეს და გასაუბრებას მიმღებ კომისიასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული წერითი გამოცდის ან აღიარებული სერტიფიკატის საფუძველზე; ბაკალავრის ხარისხი, ეროვნული სამაგისტრო გამოცდების შედეგები ქართველი სტუდენტებისათვის; წერითი ესე და გასაუბრება აპლიკანტებთან. ○ მტკიცებულებები წარმოდგენილია პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების ანგარიშში, ასევე საუნივერსიტეტო რეგულაციებში.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ წარმოდგენილი დოკუმენტების, თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე, პროგრამის დიზაინი და სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია, ითვალისწინებს სწავლის შედეგებს, დეტალურად განიხილავს დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. ○ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და

პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

- პროგრამა შემუშავდა თსუ-ს მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს პროგრამის დაგეგმვას, სტრუქტურას და შემუშავებას (დადგენილება #153), შეესატყვისება უმაღლესი განათლების მეორე დონის საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს, ძირითად და არჩევით კურსებს. პროგრამის ფარგლებში გროვდება 120 ECTS (1 კრედიტი უტოლდება 25 საათს): 60 ECTS - 12 ძირითადი კურსისათვის (4-4 კურსი პირველი და მეორე სემესტრებისათვის, 4 - მესამე სემესტრისათვის), 30 ECTS - არჩევითი კურსებისათვის, სტაჟირებისა და თავისუფალი კრედიტებისათვის; მეოთხე სემესტრი ეძღვნება სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS). პროგრამა ხელს უწყობს ქართული რეალობის თეორიულ აღქმას ინსტიტუციური, სისტემური და სტრუქტურული მოდელების შედარებითი ანალიზის მეშვეობით. სწავლების მეთოდი მოიცავს თეორიული და ემპირიული ცოდნის კომბინაციას სწავლის თითოეულ სფეროში, რაც დაჯგუფებულია შემდეგ კატეგორიებად:
    - პოლიტიკური ინსტიტუტები და მათი ტრანსფორმაცია; დემოკრატიზაცია, სახელმწიფოს შენება;
    - ეკონომიკის სისტემური ტრანსფორმაცია და პოლიტიკური ეკონომიკა;
    - სამოქალაქო საზოგადოება, სოციალური პროცესები, ფასეულობები და კულტურა;
    - კვლევის მეთოდები, კვლევის დიზაინი.

გარდა ამისა, პროგრამა სთავაზობს 10 თავისუფალ კრედიტს, რომელიც გამოსადეგი იქნება გაცვლით პროგრამებში მონაწილეთათვის, ან სხვა ქართული ან უცხოური უსდ-დან ტრანსფერისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამის აღწერილობა და სასწავლო გეგმა მკაფიოდ ასახავს პროგრამის სტრუქტურას და მის შემადგენელ კომპონენტებს; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა აყალიბებს კურსის კომპონენტებს, სწავლის შედეგებსა და შეფასების მექანიზმებს.

MA პროგრამის სასწავლო გეგმა

კურსების სილაბუსები

საუნივერსიტეტო რეგულაცია პროგრამის დიზაინის მოთხოვნების თაობაზე (PDF) ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის კოორდინატორთან, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ექსპერტთა ჯგუფის აღქმით, ამჟამად საქართველოს ეკონომიკის კურსი წარმოადგენს ძირითად კურსს, მაშინ, როდესაც უფრო თეორიული ეკონომიკის კურსი წარმოადგენს არჩევით საგანს. ჯგუფი, შესაძლებლობის შემთხვევაში, ამის გადახედვის რჩევას იძლევა. ექსპერტთა ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ სწავლებაში რუსული ენის ჩართვა არჩევით კურსად უფრო გამოსადეგი იქნება მონაწილეებისთვისა და მომავალი კურსდამთავრებულებისათვის (მიუხედავად პროგრამის კოორდინატორის დაჟინებისა პროგრამის სათაურში სიტყვის - ”პოსტსაბჭოთა” ჩართვის თაობაზე, პროგრამა არ მოიცავს ყოფილ საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულ სივრცეს). ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, ასევე, გამოავლინეს, რომ ქართულენოვანი კურსის "დემოკრატიზაცია" გარშემო შექმნილი სიტუაცია გარკვეულწილად დამაბნეველია, რადგან ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ინგლისურ ენაზეა. პროგრამის კოორდინატორი აღნიშნავს, რომ მართალია სტუდენტებს პროგრამაზე ჩარიცხვისას მოეთხოვებათ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, გარკვეული მიზეზების გამო მათ შესაძლოა არ ჰქონდეთ B2 დონეზე ფუნქციონირების უნარი პირველ სემესტრებში და ამავდროულად, ამ კურსის ლექტორს არ შეუძლია ინგლისურად სწავლება. ამგვარი ლოგიკა არაბუნებრივად გამოიყურება ჩვენთვის ორივე მხრივ: დაშვების B2 დონე უნდა ნიშნავდეს B2 დონეს, ხოლო, თსუ-ში ბევრ თანამშრომელს შეუძლია დემოკრატიზაციის ინგლისურ ენაზე სწავლება და კურსიც საკმაოდ მნიშვნელოვნად გამოიყურება მთელი პროგრამის თემისთვის. ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით, კომიტეტის წევრები მიიჩნევენ, რომ გასათვალისწინებელია კურსის "დემოკრატიზაცია" გადაკეთება ძირითად კურსად და ინგლისურ ენაზე შეთავაზება, ნაცვლად ქართულ ენაზე არჩევითი კურსის არსებობისაა (მიუხედავად პროგრამის კოორდინატორის მტკიცებისა, რომ პროგრამა არ ეხება დემოკრატიზაციას, რაც წამოჭრის კითხვას - მაშინ საერთოდ რატომ არის ეს კურსი ჩართული პროგრამაში?).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- კურსების დიზაინისა და კონკრეტული კურსების სილაბუსების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის წევრების მოსაზრებაა, რომ თემები, ლიტერატურა და დავალებები დარგის ძირითადი სტანდარტების რელევანტურია და შესაბამისია პროგრამის სწავლის განზრახული შედეგების მისაღწევად.

  ძირითად კურსებად პროგრამაში ჩართულია: ანთროპოლოგიათმცოდნეობა; სამოქალაქო საზოგადოება შედარებით პერსპექტივაში; შედარებითი მეთოდები; დემოკრატია, პოსტდემოკრატია და პოპულიზმი; სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი; საქართველოს ეკონომიკა; მედია სისტემები გარდამავალ ეტაპზე; პოლიტიკური ინსტიტუტები; პოსტ-კომუნისტური მმართველი კლასი; სოციალური მოძრაობები; სახელმწიფო და ეკონომიკა; და ადგილობრივი დემოკრატიის დინამიკა.
- არჩევითი კურსების თემები მოიცავს შემდეგს: შედარებითი პოლიტიკა; კრიტიკული კონსტიტუციონალიზმი; კულტურა და იდენტოებია; დემოკრატიზაცია; ეკონომიკური განვითარება; საქართველოს შრომითი ურთიერთობები; მეხსიერების პოლიტიკა; პოსტმოდერნული სოციალური თეორია; პროექტის მენეჯმენტი; რაოდენობრივი მეთოდები; და სივრცე, საზოგადოება და განვითარება სამხრეთ კავკასიაში.
- კურსები მოწესრიგებულია ლოგიკური თანამიმდევრობით და მათი უმეტესობა შემოთავაზებულია შესაბამის სემესტრებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კურსის სილაბუსები მიუთითებს კონკრეტულ თარიღებს, თემებს, დავალებებსა და კურსის მოთხოვნებს, რაც შესაბამისობაშია სილაბუსის დიზაინის თანამედროვე საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სტანდარტებთან. კონკრეტულ სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგები, რომლებიც შემდეგ კოორდინირებულია მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო გეგმის დოკუმენტში ასახულია კურსების რიგითობა, მათი შეფასებები, შემოთავაზებული სემესტრები და წინასწარ გათვალისწინებული ლექტორები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ კურსების დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, მკაფიოა, რომ პროგრამის სტუდენტები/კურსდამთავრებულები შეიძენენ კვლევის პრაქტიკულ უნარებს სემესტრული ნაშრომების და საჭირო სამაგისტრო ნაშრომის, ისევე, როგორც ნებაყოფლობითი სტაჟირების შესაძლებლობის მეშვეობით. გარდა ამისა, პროგრამის მონაწილეებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვა კვლევებში, ექსტრა-კურიკულურ აქტივობებში და გამოიყენონ თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაცვლითი შესაძლებლობები. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პარტნიორი უნივერსიტეტების შესახებ, ასევე მითითებულია ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები, ისევე, როგორც მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის აღწერილობა, კონკრეტული კურსების სილაბუსები და სწავლის შედეგების დოკუმენტი უზრუნველყოფს სემესტრული ნაშრომების, გამოცდებისა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის კვლევის დეტალურ მოთხოვნებს, ისევე, როგორც მოთხოვნებს სტაჟირების კომპონენტისადმი. ○ პარტნიორი უნივერსიტეტების ნუსხა ○ პროგრამის მემორანდუმების ნუსხა
რეკომენდაციები: ამჟამად, მხოლოდ სამი პარტნიორი ორგანიზაციაა მითითებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმებით სტაჟორთა მასპინძლობისათვის. ამგვარი პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი ურთიერთშეთანხმების მემორანდუმებით უნდა გაფართოვდეს. / There are currently only three indicated partner organizations with MoUs for hosting interns. The list of such partner organizations with MoUs should be expanded.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ექსპერტთა ჯგუფის წევრთა მცირე ნაწილის მოსაზრებით, შესაძლებლობის შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა გაითვალისწინოს სტაჟირების ძირითად კომპონენტად ჩართვა, ნაცვლად არჩევითისა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის აღწერილობაში მოცემული სწავლების მეთოდები, კონკრეტული სილაბუსები და სწავლის შედეგების დოკუმენტი მოიცავს ყველა ზეპირი და წერილობითი გამოცდების, სემესტრული და სამაგისტრო ნაშრომების, აკადემიურ ლიტერატურაზე და პირველად წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობის, ინტერაქტიული ლექციების, კლასში დისკუსიებისა და დებატების, პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას შემთხვევების შესწავლის მეშვეობით და ბრეინსტორმინგის მთელ დიაპაზონს. აღნიშნული სწავლების მეთოდები ამგვარი პროგრამებისთვის სტანადრტული და პროგრამის კონტენტის დონისთვის შესაბამისია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კონკრეტული კურსების სილაბუსები ასახავენ სწავლების, დავალებებისა და შეფასებების მრავალფეროვან ფორმატსა და სახეებს, რაც ჩანს, რომ შეესაბამება სწავლის შედეგების.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე X შესაბამისობაშა მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის აღწერილობა და კონკრეტულ სილაბუსებში მოცემული შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია ეროვნულ კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის რეგულაციებთან, ისევე, როგორც საერთაშორისო გამოცდილებასთან. შეფასებული კურსების კომპონენტები მოიცავს ლექციებზე დასწრებას და მათში მონაწილეობას, დამოუკიდებლად სწავლას, გამოცდების მომზადება-ჩაბარებასა და დამოუკიდებელ კვლევას. სამაგისტრო ნაშრომების სტანდარტიზებული შეფასებისათვის იხილეთ დანართი 15 "სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესები".
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის აღწერილობასა და კონკრეტულ სილაბუსებში მოცემული და ხაზგასმულია შეფასების რაოდენობრივი სისტემა, კურსის კომპონენტების შეფასებები, კურსის ჩაბარების და ჩაჭრისთვის განსაზღვრული ქულები, ინდივიდუალური შეფასების რეიტინგები, ასევე გამოსასწორებელი გამოცდების პროცედურები. მტკიცებულება მოიცავს დადგენილებას "თსუ-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე", სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესებს და პროგრამის კონკრეტულ სილაბუსებს.

რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა ხელშეწყობის მომსახურებები
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის აღწერილობა, თვითშეფასების ანგარიში, კურსების სილაბუსები და ინტერვიუები უზრუნველყოფენ სტუდენტთა ხელშეწყობის ადეკვატურ აღწერას, როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ისე ზოგადად საუნივერსიტეტო სერვისების მხრივ. თსუ-ს ანალოგიური პროგრამების ამჟამინდელ და ყოფილ სტუდენტებთან ინტერვიუების მსვლელობისას გამოვლინდა, რომ მათ ხშირად არ ჰქონდათ ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ, თუმცა ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათ შეეძლოთ ლექტორებთან ურთიერთობა ლექციების პროცესში და შემდეგაც, ისევე, როგორც სოციალური ქსელების მეშვეობით. თსუ-ს ანალოგიური პროგრამების ამჟამინდელი და მსგავსი პროგრამების კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების მსვლელობისას გამოვლინდა, რომ თსუ-ს სხვა პროგრამებზეც არსებობდა პრობლემები სტუდენტთა ინფორმირების თაობაზე საკონსულტაციო საათებისა და პროცედურების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კონკრეტული კურსების სილაბუსები მოიცავს გაცნობით ლექციებს და დებულებებს აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციებისა და მათი სამუშაო საათების თაობაზე. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებს მხარდაჭერის სერვისებით, როგორებიცაა "სტუდენტთა მომსახურების ცენტრის", სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, ისევე, როგორც ერაზმუს+ კოორდინატორის და საერთაშორისო გაცვლის შესაძლებლობებში დახმარების მეშვეობით.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: თსუ-ს სხვა პროგრამების სტუდენტთა პრობლემების გამო, პროგრამის ხელმძღვანელი და პედაგოგიური პერსონალი უნდა იყოს განსაკუთრებულად ფრთხილი სტუდენტთა ინფორმირებულობის საკითხში საკონსულტაციო საათებისა და პროცედურების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამას აქვს პედაგოგიური პერსონალის სტუდენტთა რაოდენობასთან თანაფარდობის ძლიერი მაჩვენებელი, ხოლო პერსონალის უმეტესობას აქვს რელევანტურ თემებზე სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი გამოცდილება. პროგრამა აწვდის სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის შესაძლო თემატიკის ნუსხას, თუმცა პროგრამას ჯერ არ ყავს სტუდენტები. ინტერვიუებზე თსუ-ს ამჟამინდელ და ყოფილ სტუდენტებთან გამოვლინდა, რომ სხვა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჰქონდათ სირთულეები სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან კონსულტაციების გამართვასთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის აღწერილობა და სხვა მასალები იძლევიან ადეკვატურ ინფორმაციას სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებისა და მისი ხელმძღვანელობის, პერსპექტიული სამაგისტრო თემების, 2018 წლის დეკემბრის რეგულაციებზე სამაგისტრო ნაშრომის თაობაზე, ისევე, როგორც

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციებზე, რომ უხელმძღვანელონ სამაგისტრო ნაშრომებს.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: თსუ-ს ამჟამინდელ სტუდენტებთან და სხვა პროგრამების კურსდამთავრებულებთან საუბრისას, ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ უნივერსიტეტის სხვა პროგრამებზე იყო შემთხვევები, როდესაც მაგისტრანტებს უჭირდათ კონსულტაციის მიღება მათი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისაგან. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აქვს შეთავაზება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და სხვა პერსონალი სიფრთხილით მოეკიდოს სხვა პროგრამებში არსებულ ამ პრობლემას და ყველა ზომა მიიღოს ამ პროგრამის სტუდენტების უზრუნველსაყოფად სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ფაკულტეტი და ეს კონკრეტული პროგრამა იყენებს აკადემიური და დამხმარე პერსონალის წევრების ძლიერ კონტინგენტს, რომელიც არის სათანადოდ აკრედიტებული, გამოცდილი და პატივსაცემი თავის დარგში. **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** რამდენადაც ამ სამაგისტრო პროგრამის მთავარი მიზანია ინოვაციური, ინტერდისციპლინური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება საქართველოზე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პერსპექტივიდან. პროგრამის აფილირებული და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციები აკმაყოფილებს მოთხოვნებს მისი ამოცანებისა და სწავლის შედეგების წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად. პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროგრამის პერსონალი ავლენს საკმარის საგანმანათლებლო და კვლევით გამოცდილებას (მათ შორის პუბლიკაციებს) პოლიტიკურ მეცნიერებაში, სოციოლოგიაში, ჟურნალისტიკაში, სამართალსა და გეოგრაფიაში იმისათვის, რომ უზრუნველყოს პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათი. პროგრამაში ჩართული სასწავლო პერსონალის რაოდენობა შეადგენს 8 აფილირებულ აკადემიურ თანამშრომელს, მათ შორის 4 სრული პროფესორია, 4 ასოცირებული პროფესორი, ასევე პროგრამას ჰყავს 8 მოწვეული თანამშრომელი (მათ შორის 1 მოწვეული უცხოელი ლექტორი). რაც შეეხება პერსონალის/სტუდენტების თანაფარდობას, უნივერსიტეტის დოკუმენტაცია იძლევა ინფორმაციას ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალის იმ რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად. **დაანგარიშებები განხორციელდა შემდეგი წესით:**

ა) პროგრამის პროფილი და მახასიათებლები;
ბ) სტუდენტების რაოდენობა;
გ) მისაღები სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა;
დ) სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და კვლევითი პერსონალის რაოდენობა;
ე) წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.

როგორც აფილირებული და მოწვეული პერსონალის გამოკითხვებიდან ჩანს, აკადემიური პერსონალის 60% საჭიროებს თავისი სამუშაო დატვირთვის გადახედვას, რაც უნდა გაითვალისწინოს უნივერსიტეტმა და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ შემდგომი მსჯელობისთვის.

რაც შეეხება სათანადო კომპეტენციის მქონე ადეკვატური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უზრუნველყოფას, ადგილზე განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში სტუდენტთა ჯგუფთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ სტუდენტები საერთო ჯამში კმაყოფილები არიან სტუდენტების დასახმარებლად ფაკულტეტის პროგრამის პერსონალის ჩართულობით, ხელმისაწვდომობითა და მზაობით. იმავდროულად, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ადგილი აქვს მაღალი დონის ბიუროკრატიას და ზოგჯერ გადაწყვეტილებების მიღების ხანგრძლივ პროცესს. ხშირად, როდესაც ისინი უკმაყოფილო არიან ლექტორების მუშაობით, ურჩევნიათ დაწერონ პეტიციები და მისცენ სანდო ლექტორს ან ადმინისტრაციული პერსონალის წევრს, ვიდრე პრობლემის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალს.

როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებიდან გამოჩნდა, იგი პირადად იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში, სასწავლო გეგმის განვითარებასა და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციაში. დოკუმენტებიდან, ისევე როგორც ინტერვიუებიდან, ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს საჭირო უნარებსა და კომპეტენციას პროგრამის ეფექტურად გაძღოლისთვის.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, აკადემიური პერსონალის მუშაობა, მათ შორის ისეთი კომპონენტებიც, როგორებიცაა საგანმანათლებლო პროცესის სამუშაო დატვირთვა (შედგენილი ლექციები, პრაქტიკული/ლაბორატორიული დავალებები, სტაჟირება, ნაშრომის ხელმძღვანელობა და ა.შ.) და შესასრულებელი დავალებები (სილაბუსის შემუშავება და განახლება, ლექციისთვის მომზადება, ელექტრონული რესურსების გამოყენება -Moodle-ს პლატფორმა) ფასდება პერსონალის თვითშეფასების ფორმის მეშვეობით; ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მომზადება; სტაჟირების ხელმძღვანელობა; საზღვარგარეთ კურსების ჩატარება; სტატიები ჟურნალში; გამოქვეყნებული წიგნები/მონოგრაფიები; წიგნში დათმობილი თავი; საკონფერენციო შრომები; პატენტები, კვლევით გრანტებში/პროექტში მონაწილეობა; კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობა; შემოქმედებითი საქმიანობა და სხვა.

თვითშეფასების ფორმით შესაძლებელია აკადემიური პერსონალის, ასევე მოწვეული პერსონალის მუშაობის/სამუშაო დატვირთვის ადეკვატური შეფასება და შემდგომი განვითარებისთვის გზის განსაზღვრა.

პროგრამის ფუნქციონირებაში ჩართული პერსონალის კომპეტენციის განვითარების თვალსაზრისით, პროექტ Tempus-ით განხორციელებული თანამშრომლობა ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტთან და კავკასიის უნივერსიტეტთან მიზნად ისახავს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციების პროგრამის პერსონალის დარგობრივი კომპეტენციების გაზრდას ევროპულ უსდ-ებში ვიზიტების მეშვეობით (მაგ.: „სახელმწიფო და ეკონომიკა: სოციოლოგიური პერსპექტივა“, „შრომითი ურთიერთობები საქართველოში, ევროკავშირთან ინტეგრაციის კონტექსტში“). მოწვეული და აფილირებული პერსონალის ექსპერტიზის გაზრდის მიზნით სხვადასხვა ტრენინგები,

კონფერენციები და პროექტები ჩატარდა, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით. უფრო მეტიც, პროგრამის პერსონალის კომპეტენციების განვითარების სისტემატური ხასიათის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესის მართვის განყოფილებასთან ერთად. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ სამი ტრენინგი ჩატარდა თვითშეფასების ჯგუფის კომპეტენციების ასამაღლებლად, აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მიხედვით მიზნებისა და სწავლის შედეგების შედგენაზე. პროგრამის სასწავლო პერსონალისთვის რეგულარულად ტარდება ტრენინგები აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის შეფასების წესი (81-2018 personalis shefasebis wesi.pdf) ○ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა (დანართი 1. pdf) ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები (მათ შორის CV-ები, დიპლომები, შესაბამისი პუბლიკაციებისა და შრომითი კონტრაქტების სია); ○ თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსია, pdf); ○ აკადემიური, კვლევითი და მოწვეული პერსონალის კომპეტენციების ამაღლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში (pdf ფაილი); ○ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა (pdf); ○ უცხოელი ექსპერტების რეკომენდაცია/შეფასების წერილი (ვრიჟეს უნივერსიტეტი, ბრიუსელი, INALCO პარიზი, ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი); ○ თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრის ანგარიში, „პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა და საზოგადოება, სამაგისტრო პროგრამა (19.01.2019) ოქმი #2. ○ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანგარიში (pdf); ○ უნივერსიტეტის სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანგარიში (pdf); ○ ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის უნივერსიტეტი და ფაკულტეტი უზრუნველყოფენ შეფასებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, რომლებიც იმავე დონეზე თუ არა, ალბათ ყველაზე მეტად ყოვლისმომცველია, ქვეყანაში არსებულ ყველა უნივერსიტეტს შორის.

ინტერვიუს დროს, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალმა განმარტა, რომ აკადემიური განვითარების, დასაქმების, შეფასებისა და განვითარების პოლიტიკის შემუშავება დაწყებულია. პერსონალის შეფასების პროცესი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ცოტა ხნის წინ დაიწყო, ამჟამად საპილოტე ვერსია მოქმედებს და შეფასების სისტემა გადის რესტრუქტურიზაციას. უნივერსიტეტს ასევე აქვს მხარდაჭერის სხვადასხვა სერვისები და უნივერსიტეტს წვლილი შეაქვს გამოსაქვეყნებელი პროექტებისა და კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებაში, ასევე ტრენინგს პროფესიულ განვითარებაში, რომელიც შეეხება სწავლების მეთოდოლოგიას, სწავლის შედეგებს, ტრენინგებს. მიმდინარე წელს 8 ტრენინგი ჩატარდა პროგრამის დიზაინთან და სწავლის შედეგებთან, ასევე წერასთან, სწავლებასთან და სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მომდევნო კვირიდან, უნივერსიტეტში იხსნება სწავლებისა და სწავლის ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.

ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტმა გადააწყო თავისი ბიუჯეტი, რათა ჩაატაროს ორი საგრანტო კონკურსი ყოველ წელს, ერთი კვლევისთვის და ერთიც სახელმძღვანელოს დაწერისთვის. ყოველ წელს, პროფესორებს შეუძლიათ განაცხადი შეიტანონ რელევანტურ კვლევასა და რელევანტური სახელმძღვანელოს შექმნაზე. ყოველ წელს არის 3-4 კვლევითი პროექტი, წელს კი 5 სახელმძღვანელო. ჩვენ მოვიცავთ სტუდენტების შენატანსაც. გასულ წელს ჩავატარეთ საინტერესო კვლევა იმის თაობაზე, თუ რამდენად გამოყენებადია ლურჯი ეკონომიკის იდეა, მიმდინარე მასშტაბური სამუშაოა= თუ როგორ შეიძლება მისი გამოყენება ამჟამინდელ ქართულ რეალობაში.შევქმენით სახელმძღვანელო საზოგადოებრივ გეოგრაფიაზე.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დასძინეს, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტთან ერთად, უნივერსიტეტი თავადაც გამოყოფს რესურსებს კონფერენციებში მონაწილეობისა და კვლევის მხარდასაჭერად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

აკადემიური და აფილირებული პერსონალის კითხვარები

ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამისთვის გამოიყო საკმარისი მატერიალური და ტექნიკური რესურსები, რომლებიც საჭიროა იმ კურიკულუმის განსახორციელებლად, რომელიც მიზნად ისახავს, სტუდენტსა და მასში ჩართულ პერსონალს შესთავაზოს მაღალი ხარისხის სასწავლო პროცესი ინოვაციური მეთოდოლოგიური მიდგომებითა და კვლევითი შესაძლებლობებით.
- უნივერსიტეტი ფლობს საჭირო საკითხავ მასალას, რომელიც მოითხოვება პროგრამის განსახორციელებლად. ეს დასტურდება ანგარიშით (იხ. შეფასების ინდიკატორები);
- უნივერსიტეტის ტერიტორია სტუდენტებს სთავაზობს სალექციო ოთახებს უნივერსიტეტის სხვადასხვა შენობებში (უპირველესად 1,2,4 და მე-6 შენობებში), ოთახების უმეტესობა აღჭურვილია როზეტებით, რომლებიც საჭიროა ლექციის დროს ლეპტოპების გამოსაყენებლად, თუმცა ყველა საკლასო ოთახი არ არის აღჭურვილი პროექტორებითა და კომპიუტერებით.
- უნივერსიტეტის პირველ კორპუსში განთავსებული საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა გვთავაზობს წიგნებისა და საჟურნალე სტატიების ფართო არჩევანს როგორც ინგლისურ , ასევე ქართულ ენაზე (ასევე სხვა ენებზეც). არის გამოყოფილი სივრცე, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ იმეცადინონ და ჰქონდეთ წვდომა კომპიუტერებზე.
- პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს ცალკე გამოყოფილი სასწავლო სივრცე იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც სჭირდებათ სტატისტიკური პროგრამები. პროგრამები, რომლებიც არ არის დაყენებული კომპიუტერებზე, შეიძლება დაყენდეს სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე (როგორც ფაკულტეტის, ისე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში).
- ბიბლიოთეკას წვდომა აქვს მრავალ ელექტრონულ მონაცემთა ბაზასთან (Elsevier SCOPUS, Elsevier Science Direct, EBSCOHost, JSTOR), საიდანაც სტუდენტებსა და პროგრამის სასწავლო პერსონალს შეუძლიათ გამოიყენონ მათთვის საინტერესო, დარგში ხელმისაწვდომი სტატიები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია ონლაინ კატალოგითა და სხვა ონლაინ სერვისებით.
- ზემოთ ხსენებული ინფორმაცია დადასტურდა პროგრამის აკადემიური პერსონალის გამოკითხვით, სადაც განსაკუთრებით გაესვა ხაზი ბიბლიოთეკასა და სხვადასხვა რესურსებზე წვდომას, როგორც დადებით მხარეს.

- იმავდროულად, უფრო პრობლემატური საკითხი აღმოჩნდა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა (განსაკუთრებით კი ოთახების, ლაბორატორიებისა და დასასვენებელი სივრცეების მდგომარეობა). აკადემიური პერსონალის 52.4%-მა ხაზი გაუსვა მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობას. სტუდენტთა კითხვარებში, რესპოდენტების 52.2% საერთოდ არ ეთანხმება მატერიალური და ტექნიკური რესურსების ადეკვატურ უზრუნველყოფას.
- იმავდროულად, 4 მაქსიმალური ქულიდან, სტუდენტებმა 3 და 3.33 ქულა მიანიჭეს წიგნებისა და ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობას ბიბლიოთეკაში. ეს ინდიკატორი აჩვენებს მოწონების ყველაზე მაღალ ხარისხს სხვა კომპონენტებს შორის, რომლებიც შეეხება უნივერსიტეტში სერვისის მიწოდებას.
  - ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კითხვარი ეხება კმაყოფილებას საუნივერსიტეტო მასშტაბის დონეზე, რაც შესაძლოა სრულად არ წარმოადგენდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მდგომარეობას, ეს კი მხედველობაშია მისაღები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტი (სალექციო ოთახებში, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში);
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსია pdf);
- ბიბლიოთეკის ანგარიში პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პროგრამით გათვალისწინებული კურსებისთვის შეძენილ წიგნებზე (pdf ფაილი);
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანგარიში (pdf);
- უნივერსიტეტის სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანგარიში (pdf);

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

უნივერსიტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება უნდა გახდეს უმთავრესი პრიორიტეტი პროგრამის მატერიალური და ტექნიკური რესურსების ადეკვატური უზრუნველყოფისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში რესურსების მიწოდება (მათი ხელმისაწვდომობა და მრავალფეროვნება).

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შემოთავაზებული ფინანსური გეგმა სამაგისტრო პროგრამისთვის - „პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება“ ქმნის ფაკულტეტის 2019 წლის საერთო ბიუჯეტის ნაწილს. ბიუჯეტის შემუშავება ცენტრალიზებულია უნივერსიტეტში და პროგრამას უზრუნველყოფს საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. ბიუჯეტი ასევე უზრუნველყოფს ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ახალი წიგნებით მომარაგებას; წვდომას საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებზე; პერსონალის კომპენსაციასა და სამოგზაურო ხარჯებს; შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფას კვლევითი საქმიანობისა და აკადემიური სტატიებისა და ნაშრომების გამოქვეყნებისთვის.

სამაგისტრო პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია შემოსავლებით, რომელსაც უნივერსიტეტი იღებს საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობებიდან და აისახება პროგრამის ფინანსურ გეგმაში.

უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე სამაგისტრო პროგრამა აპირებს 20 სტუდენტის მიღებას 2019-20 სასწავლო წლისთვის. ამ სტუდენტებისგან შემოსული თანხები უპირველესად დაფარავს პირდაპირ გადახდებს, როგორებიცაა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასები. ეს შემოსავალი საკმარისია ბიუჯეტის დანახარჯების მხოლოდ 65.7%-ის დასაფარად, რაც პირველ ეტაპზე და მოკლევადიან პერიოდში გაართულებს პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება“ სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი (ქართული, xlsx)
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი (ქართული, xlsx)
- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსია pdf);
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის კონტროლთან და აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებსა და ადგილზე განხორციელებულ ვიზიტსა და ინტერვიუებში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის აქტიური ჩართულობიდან მკაფიოდ ჩანს, რომ პროგრამის შემქმნელები მჭიდროდ თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს შემდეგი პროცედურით: 1. პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, 2. პროგრამის განხორციელება, 3. მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი, 4. პროგრამის ცვლილება. უნივერსიტეტის წესების მიხედვით, პროგრამას აფასებს უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ზედამხედველობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკმაოდ მაღალგანვითარებულია და თანამშრომლობა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პროგრამის ხელმძღვანელსა და პერსონალს შორის ნათლად ჩანს პროგრამის მასალებიდან და ადგილზე ვიზიტის დროს წარმოჩენილი ერთობლივი ძალისხმევიდან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია პროგრამისა და სილაბუსის შეფასებასა და პროგრამის შიდა დამტკიცებაში, ასევე პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაში. ეს სამსახური ასევე კეთილსინდისიერად მუშაობს, რათა სრულად შეესაბამებოდეს ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ მოთხოვნებს და უზრუნველყოს ტრენინგები და კონსულტაცია უნივერსიტეტის პერსონალისთვის, რათა დაეხმაროს მათ ამ სტანდარტების გაგებასა და მათი კურსების სათანადოდ აგებაში. მტკიცებულება მოიცავს თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8

დეკემბრის განკარგულებას „პროგრამების დაგეგმვის, დამტკიცებისა და განვითარებისა და მათში ცვლილების წესის შესახებ“ და ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 ხარისხის გარე შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესით გათვალისწინებულ პროცედურებთან ერთად, პროგრამის ხელმძღვანელმა სილაბუსები განხილვის, კომენტარის გაკეთებისა და გაუმჯობესებისთვის წარუდგინა ევროპელ კოლეგებს და ასევე ისარგებლა იმ უცხოელი პროფესორის ჩართულობით, რომლიც მომავალში წაიკითხავს კურსს ამ პროგრამაზე - ეველინ ბაუმანი, რაც პოზიტიური ნაბიჯია გარე უკუკავშირის მიღების, როგორც ხარისხის გარე უზრუნველყოფის

თვალსაზრისით. ასეთი კონსულტაცია სასარგებლოა პროგრამის განვითარებისთვის, როგორც დამატებითი უკუკავშირის უზრუნველყოფის თვალაზრისით, ასევე პროგრამის დიზაინის, საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი ○ პროგრამა ისარგებლებს შეფასების საშუალებებით, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტისა და ეროვნულ პრაქტიკებს. პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ გადასინჯვის პროცესს მართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ამასთან ერთად, პროგრამას განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელი და თვითშეფასების გუნდი. პროგრამისა და მონაწილის წარმატების შეფასების პირდაპირი და ირიბი მაჩვენებლები და შეფასების მეთოდები შედის სწავლის შედეგების შეფასებაში. ასევე დაგეგმილია ლექტორებისა და პერსონალის პერიოდული შეხვედრები, რათა გამოიყენონ შეფასების შედეგები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის აღწერასა და ინდივიდუალური კურსის სილაბუსებში მოცემულ კურსისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან ერთად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების თანახმად, პროგრამის მენეჯერები გამოიყენებენ დამსაქმებლების გამოკითხვას და სტუდენტთა დასაქმების მონაცემებს, ასევე ახალ კურსდამთავრებულთა გამოკითხვას. პროგრამისა და თვითშეფასების სამუშაო ვერსიის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს პოტენციურმა დამსაქმებლებმა, რამდენიმე მათგანმა დრო გამოყო ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუსთვის.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები არის ნათლად განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამებიან უსდ-ის მისიას და ითვალისწინებენ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ტიმოთი კ. ბლაუველტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ამერიკის საბჭოები

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ივანნა მაჩიტაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მაია ბარამიძე, კავკასიის უნივერსიტეტი

გია თოდუა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი